ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსს

ქალბატონ ელენე დუმბაძეს

ქალბატონო ელენე

მივიღე თქვენი მომართვა N10/17616-ით,სადაც მომართავთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 88-ე მუხლის პირველი მუხლის თანახმად, რომლის მიხედვითაც საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, უპასუხონ ამომრჩეველთა შეკითხვებს ამ მიზნით,გიგზავნით თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთაწმინდის მაჟორიტარი წევრის, ჯაბა ჯიშკარიანის 2016 წლის ანგარიშს.

პატივისცემით

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

მთაწმინდის მაჟორიტარი წევრი ჯაბა ჯიშკარიანი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოებისა განყოფილება
შემოსულია რეგისტრაციაში 10 ფურცელი

N10/17616 31.10.16

ქალაქ თბილისის

საკრებულო

ქალაქ თბილისისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მთაწმინდის მაჟორიტარი წევრის

ჯაბა ჯიშკარიანის 2016 წლის ანგარიში

მოგესალმებით , დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მოხარული ვარ, რომ მაქვს საშუალება კიდევ ერთხელ წარვსდგე თქვენს წინაშე ანგარიშით იმის შესახებ, თუ რა შევძელით, რომ გაგვეკეთებინა ამ ერთი წლის განმავლობაში დედაქალაქისთვის და თქვენთვის ჩემო მთაწმინდელებო.

წლევნდელი წელი განაკუთრებულად პროდუქტიული იყო შეხვედრებზე მოსული ადამიანებისა და მათი პრობლემების გადაწყვეტის კუთხით.

მოგეხსენებათ, რომ ყოველ ოთხშაბათს, ჩემთან ბიუროში იმართება მოქალაქეების მიღება, სადაც უმეტესობა თქვენგანისა, ნამყოფია. ამ შეხვედრებზე განიხილება ის საკითხები და პრობლემები, რომლებიც აწუხებს თითოეულ თქვენგანს.

2016 წლის იანვრიდან დღემდე, შევხვდი 900 მოქალაქეს, ბიუროში შემოსულია 320 განცხადება, 277 მოქალაქეს გავუწიე შუამდგომლობა შესაბამის ორგანოებთან ... აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ბიურო, რომელიც მდებარეობს რუსთაველის 26 ნომერში, ფუნქციონირებს ყოველ სამუშაო დღეს,9 დან 6 საათამდე. ბიუროკრატიული ვადების თავიდან ასაცილებლად, მედიკამენტებისა და მკურნალობის კურსის დაფინანსების თხოვნით მოსულ მოქალაქეს, ბიუროს წარმომადგენელი

პირადად მიჰყვება დაფინანსების გამცემ სტრუქტურებთან და ეხმარება განცხადებისა და მასზე საჭირო თანდართული საბუთების მოძიებასა და ჩაბარებაში.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ არსებულ პრობლემებში ერთერთ მნიშვნელოვან ადგილს სოციალური საკითხები იკავებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბოლომდე გადაჭრილი ჯერჯერობით არ არის. ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს საქართველოს მთავრობა,თუმცა სანამ საბოლოოდ გადაიჭრება საკითხი, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმარეთ ყველა მოქალაქეს, რომელსაც ეს პრობლემა აწუხებდა. დახმარებები იყო შემდეგნაირი: ერთჯერადი ფულადი დახმარება, ოჯახის ქირით გაყვანა, სოციალური სტატუსის აღდგენა-მინიჭება, გადაუდებელი ოპერაციებისა და მედიკამენტების, ასევე გამოკვლევების დაფინანსება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო როგორც ზრდასრული პირების, ასევე მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

მთაწმინდის რაიონის სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულია 6200 ბენეფიციარი. უფრო კონკრეტულად -2500 მოქალაქე სოციალური პაკეტის მიმღებია, ხოლო 3700 საარსებო შემწეობის მიმღები.

როგორც მოგეხსენებათ, მთაწმინდის რაიონში არის 5 უფასო სასადილო, რომლებიც ჯამში 2810 მოქალაქეს ემსახურება.

რაც შეეხება ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, პირველ კვარტალში გაცემულია 201 880 ლარი, მეორე კვარტალში 116 490 ლარი, ხოლო მესამე კვარტლაში 74 900 ლარი, ანუ სამივე კვარტალში ერთჯერადი მატერიალური დახმარებისთვის გაცემულმა თანხამ, ჯამში შეადგენა 393 360 ლარი.

რაც შეეხება მედიკამენტებს, პირველ კვარტალში მედიკამენტებისათვის გაიცა 68 921 ლარი, მეორე კვარტალში 716 435 ლარი, ხოლო მესამე კვარტალში 393 262, ანუ სამივე კვარტალში, მედიკამენტებისათვის გაცემული თანხა, ჯამში შეადგენს 1 178 618ლარს.

ხოლო სამედიცინო მომსახურეობისათვის პირველ კვარტალში გაიცა 18 621 ლარი, მეორე კვარტალში 204 385 ლარი,ხოლო მესამე კვარტალში 155 221 ლარი, ანუ ჯამში სამივე კვარტალში სამედიცინო მომსახურეობისათვის გაიცა 378 227 ლარი.

ჩვენი შუამდგომლობითა და მთაწმინდის რაიონის გამგეობის დახმარებით, ამ ეტაპისათვის 170 ოჯახი სარგებლობს ქირის საფასურის დაფინანსებით.

ჩემი შუამდგომლობითა და მთაწმინდის რაიონის გამგეობის მეშვეობით, 250 მოზარდი 10 დღით გაემგზავრა ბაკურიანში. ბანაკი გათვლილი იყო 12დან 16 წლამდე მოზარდებისათვის. აღნიშნული ბანაკი ხელს უწყობს მომავალ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. სახელმწიფო მომავალშიც განაგრძობს, მსგავსი პროექტების მხარდაჭერასა და განვითარებას.

ერთერთი უმნიშვნელოვანესი და მთაწმინდის რელიეფიდან გამომდინარე პრობლემატური საკითხია ინფრასტრუქტურის მოწყობა. ამ მიმართულებით ჩატარდა კოლოსალური

რაოდენობის სამუშაოები. პრობლემების აღმოსაფხვრელად დახარჯულია 3 მლნ- ლარამდე, მოწყობილია 46 000მ.კვ.-მდე ასფალტის საფარი,ასევე მომავალი თაობისათვის გაკეთდა სამი ახალი სკვერი სანაპიროს ქუჩა #8-ში, ასევე კოჯორში კაჭახიძის ქუჩაზე, აღსანიშნავია ოქროყანაში ა ზონაში მაღალი სტანდარტების შესაბამისი კეთილმოწყობილი სკვერიც. გარდა ახლადმოწყობილისა,რეაბილიტაცია ჩაუტარდა არაერთ სკვერს და აღნიშნული სამუშაოები კვლავაც მიმდინარეობს.

ჩემი შუამდგომლობითა და მთაწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით აქტიურად მიმდინარეობს ავარიული სახლების გამაგრებითი სამუშაოები, მოგეხსენებათ მთაწმინდაზე მრავლად არის უძველესი ავარიული სახლები,რომელთა შენარჩუნება თბილისის იერსახისათვის აუცილებელია. ასევე გადაიხურა სახლები, გამაგრდა სადარბაზოები,თაღები და აივნები, შეკეთდა ლიფტები, მოწესრიგდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის სისტემები. კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა ალ.ჭავჭავაძის 1 ჩიხი #1, სახლს. აღნიშნული სამუშაოებში 321 534 ლარი დაიხარჯა. ასევე ჭონქაძის ქუჩაძე, #14-ში გამაგრდა საცხოვრებელი სახლი, მოწესრიგდა სადარბაზო და გარე ფასადი. სამუშაოებში 197 681 ლარი დაიხარჯა.

ქვაკუთხედი ჩვენი პოლიტიკისა არის დამოუკიდებელი და თავისუფალი მომავალი თაობა, რომელიც წარმოუდგენელია განათლების გარეშე. სწორედ ამიტომ , ჩვენი ერთერთი პრიორიტეტული საკითხი განათლებაა .ვფიქრობ რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას უნდა მივცეთ საშუალება მიიღოს უმაღლესი განათლება განურჩევლად ფინანსური შესაძლებლობისა და

სოციალური სტატუსისა. წლევანდელ წელს, ჩვენი შუამდგომლობითა და დედაქალაქის მერიის ხელშეწყობით არაერთ ახალგაზრდას დაუფინანსდა სწავლის საფასური, აღუდგა სტუდენტის სტატუსი და არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, გაემგზავრა საზღვარგარეთ პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად.

დღევანდელ რეალობაში, როდესაც ბავშვების ძირითადი ნაწილი დამოკიდებულნი არიან კომპიუტერებზე, აუცილებელია მათ ხელი შევუწყოთ, რომ იყვნენ მეტად აქტიურები ფიზიკურად.ჩვენ ვცდილობთ დავაინტერესოთ მომავალი თაობა, სპორტული აქტივობებით და სწორედ ამ მიზნით მთაწმინდის რაიონში ჩატარდა და კვლავ ჩატარდება უამრავი სპორტული და კულტურული ღონისძიება. წლის განმავლობაში ჩატარდა შეჯიბერებები ჩოგბურთში, მინი ფეხბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში.

ასევე ჩატარდა კულტურული ღონისძიებები მაგალითად დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, შემოქმედებითი დღე,სადაც რამდენიმე ნაწარმოების პრეზენტაცია გაიმართა. ასევე ჩატარდა კონცერტი სახელწოდებით „მუსიკალური თერაპია: სიყვარული“, აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, რომელსაც სპეციალური ღონისძიება მიეძღვნა. გაიმართა საცირკო სანახაობა, ჩატარდა სახელოვნებო ფესტივალი „მთაწმინდა არტ-ფესტი“, ასევე გაიმართა მთაწმინდის მემკვიდრეობის პრეზენტაცია (ფოტო კონკურსი, ფილმი მთაწმინდის შესახებ, კონცერტი).

მე მინდა შევეხო ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე მტკივნეულ საკითხს, ეს არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. დღევანდელი პოლიტიკა მიმართულია იმისკენ , რომ აღნიშნული პრობლემა გადაიჭრას და დაუბრუნდეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ჩვენს ქვეყანას. თუმცა სანამ ეს ყველაფერი განხორციელდება, სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება, იზრუნოს თავის მოქალაქეებზე, რომლებმაც დაკარგეს საცხოვრებელი სახლები ამ კონფლიქტის შედეგად. ამ მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი წინსვლა. არაერთ იძულებით გადაადგილებულ პირს ვუშუამდგომლეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, საიდანაც მოქალაქეებმა მიიღეს როგორც ერთჯერადი ფინანსური დახმარებები, ასევე მათ გადაეცათ საკუთრებაში ფართები.

არ შეიძლება ჩვენ შეხვედრაზე არ შევეხო იმ მძიმე ეკოლოგიურ ვითარებას, რომელიც დღეს საქართველოშია, ეს პრობლემა განსაკუთრებით მძიმეა ჩვენს დედაქალაქში. თბილისის მერის წინასაარჩევნო ერთერთი დაპირება სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა და მიზნად ისახავდა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულიყო ხეების უმოწყალოდ ჩეხვა და ყურადღება მიქცეოდა თბილისის გამწვანებას. როგორც მოგეხსენებათ, მე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის კომისიის წევრი და აქტიურად ვმუშაობთ შესაბამის უწყებებთან ერთად, რათა არ დადგეს ჩვენი დედაქალაქი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე.

კიდევ ერთი საკითხი,რომელზეც მინდა, თქვენი ყურადღება შევაჩერო არის, მიწის ლეგალიზაციის მხრივ გადადგმული ნაბიჯები, რომელიც ჩვენი რაიონის არაერთი მაცხოვრებლისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პრობლემას. ჩვენი და მიწის ლეგალიზაციის კომისიის ერთობლივი მუშაობის შედეგად, იმ მოქალაქეებს რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ მიწის კონკრეტული ნაკვეთებით, გადეცათ საკუთრებაში.

ჩემთვის ყოველთვის მიუღებელნი იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც მოსახლეობაში გადიოდნენ მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში. ჩემი ერთერთი მთავარი მიზანი იყო, არ დავმსგავსებოდი მათ. გარდა ოთხშაბათისა , როდესაც მოქალაქეებს ბიუროში ვხვდები, აუცილებლად გავდივარ მისამართებზე რათა უფრო ნათლად დავინახო ის პრობლემები, რაც ამ ადამიანებს აწუხებთ და ვიყო ერთერთი მათგანი. ჩემო თბილისელებო, ჩემო მთაწმინდელებო, ჩემო მეზობლებო არასოდეს დამიშურებია ძალა და ენერგია იმისთვის რომ რაც

შეიძლება მეტი კარგი გამეკეთებინა თქვენთვის. ჩემი დღევანდელი თანამდებობა რომელიც დროებითია, არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა , რომ ვაკეთო საქმე, რომელიც ჩვენს შვილებს, შვილიშვილებსა და შემდგომ თაობებს წინ დახვდებათ...

პატივისცემით

ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

მაჟორიტარი წევრი

ჯაბა ჯიშკარიანი